მერების შეთანხმება არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა. იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე. შეთანხმების ხელმომწერნი მიზნად ისახავენ 2020 წლისათვის შეამცირონ CO2-ის ემისიები მინიმუმ 20%-ით და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ მწვანე ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის.

2008 წელს ევროკავშირის კლიმატისა და ენერგო პაკეტის მიღების შემდეგ ევროკომისიის ინიციატივით შეიქმნა მერების შეთანხმება რათა წაეხალისებინა და დახმარება გაეწია ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის ენერგეტიკის მდგრადი პოლიტიკის განხორციელებაში. ადგილობრივი მთავრობები მართლაც გადამწყვეტ როლს თამაშობენ კლიმატის ცვლილების შემცირებაში, რადგან ქალაქებზე ენერგიის მოხმარებისა და CO_2-ის ემისიის 80% მოდის.

მერების შეთანხმების მეშვეობით ევროკავშირის ინსტიტუტებმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგეს - უშუალოდ ჩართეს ადგილობრივი და რეგიონული მთავრობები და ამით აღიარეს მათი მნიშვნელოვანი როლი ამბიციური ენერგეტიკული და კლიმატური ამოცანების შესრულებაში.

დაკისრებული პოლიტიკური ვალდებულებების კონკრეტულ ღონისძიებებსა და პროექტებში გარდასახვისთვის, შეთანხმების ხელმომწერნი, იწყებენ ნახშირორჟანგის გაფრქვევების საბაზისო კადასტრის მომზადებას (რასაც წინ უსწრებს ადგილობრივი მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკის ჩამოყალიბება და შესაბამისი ინსტიტუციონალურ/მმართველობითი უნარების შექმნა) და შეთანხმებაზე ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში წარადგეენენ მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმს, რომელშიც ასახული იქნება მათ მიერ განსახორციელებლი ძირითადი ღონისძიებები.
ენერგიის დაზოგვის გარდა, ხელმომწერები შემდეგ სახის შედეგებსაც აღწევენ: სუფთა და ფინანსურად ხელმისაწვდომი ენერგიით სარგებლობის საშუალება, კვალიფიციური და სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნა, ფინანსური და სოციალური სტაბილურობის ზრდა, ჯანსაღი გარემოსა და უკეთესი საცხოვრებელი პირობების ჩამოყალიბება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, გაუმჯობესებული კომუნალური მომსახურება და ინფრასტრუქტურა.
ეს ღონისძიებები სხვებისათვის სამაგალითოს წარმოადგენენ და ე.წ. „წარმატებული გამოცდილების“ მონაცემთა ბაზაში არიან თავმოყრილი.
ინფორმაციის უნიკალური წყაროა მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმების კატალოგიც, რადგან იქ თვალის ერთი გადავლებით შეგვიძლია, წარმოდგენა შევიქმნათ

ხელმომწერი სხვა ქალაქების მიერ დასახული ამბიციური ამოცანებისა და მათ მისაღწევად არჩეული ძირითადი გზების შესახებ.